

**საქართველოს კანონი**  
**საქართველოს შრომის კოდექსში**  
**დამატებების შეტანის შესახებ**

მუხლი 1. საქართველოს კანონის „საქართველოს შრომის კოდექსში“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №23, 19.06.2006, მუხლი 183) შეტანილი იქნეს შემდეგი დამატებები:

1. კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტს „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტი:

„დ<sup>1</sup>) „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელება;“

კანონის 36-ე მუხლს მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5<sup>1</sup> პუნქტი:

„5<sup>1</sup>. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და „ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საკრებულოს წევრის უფლებამოსილება ანაზღაურდება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი**

**მინეილ სააკაშვილი**